

უკ

მუსიკალური გენეტიკის გამოვლენის ფორმები ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში (საკითხის დასმისთვის)

ეკა ჭაბაშვილი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, გრიბოედოვის 8.
დოქტორანტი (სპეციალობა კომპოზიცია)

ხელმძღვანელი: ნოდარ მამისაშვილი, კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ზგერათა ეკოლოგიური ცენტრის კოორდინატორი, ადამიანის ინსტიტუტის პროფესორი, საპატრიარქოსთან არსებული სამგალობლო ცენტრის მრჩეველი, ჰოლოსტუდიის პრეზიდენტი

ანოტაცია:

კაცობრიობის ისტორიაში XX საუკუნე ყველაზე გადატვირთულია სამეცნიერო სიახლეებით, რაც ასევე აქტიურად აისახა მსოფლიო კულტურაზე და მათ შორის მუსიკაზეც. ამ ეპოქისთვის ყველაზე დამახასიათებელია ხელოვნებაში მეცნიერული აღმოჩენების პირდაპირპროპორციულად გამოვლენის ტენდენცია. ამის შედეგად წარმოიშვნენ მეცნიერ-კომპოზიტორები და სხვა ტიპის გიბრიდული სპეციფიკის ხელოვნების მოღვაწეები. სწორედ მსგავსი მოვლენების ფონზე XX საუკუნის II ნახევარში და XXI საუკუნეში ხელოვანთა უმეტესობაში შეიმჩნევა ლტოლვა «გამთლიანებული აზროვნებისკენ».

XX საუკუნეში, გენეტიკისა და ატომის ეპოქაში, ვფიქრობ, მუსიკალური აზროვნებაც აუცილებლად განიცდის ამ მოვლენების გავლენას. ამიტომ გვინდა დავაყენოთ ეს პრობლემა. გთავაზობთ მუსიკალურ გენეტიკურ კოდებზე ჰიპოთეზის სახით ჩამოყალიბებული აზრის გარშემო მოკლე ექსკურსს. სადაც ბგერის ობერტონული რიგის მეშვეობით ვახდენთ დაშიფრული კოდების კლასიფიკაციას. ასევე მოკლედ შევეხებით ნ. მამისაშვილის მიერ წარმოდგენილი მუსიკალური გენის სხვადასხვა სახეობებს: ფონოგენი, ინტრაგენი (აქვე ევფონიის მოვლენას ავხსნით) და ჰოლოგენი.

ნაშრომის ძირითად საკითხს წარმოადგენს თანამედროვე პროფესიულ მუსიკაში ფოლკლორული და საეკლესიო მუსიკის მიმართ არსებული ინტერესი. რამდენიმე ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებაში ახალი მუსიკალური ნიმუშების მაგალითზე შევეცდებით ჩამოვყალიბოთ აზრი, რომელიც ახსნის მათ ნაწარმოებებში რა სახით გამოვლინდა ქართული მუსიკალური გენის ფენომენი. ასევე XX-XXI საუკუნეში ნეოფოლკისა და თანამედროვე საეკლესიო მუსიკის ნიმუშების ტიპოლოგია და ზოგიერთი ავტორის მოკლე ანოტაცა საკუთარ ნაწარმოებზე.

საკვანძო სიტყვები: ფონოგენი, ინტრაგენი, ჰოლოგენი

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „... ღმერთმა ყველა ერს მისცა მადლი, ხოლო ჩვენ, ქართველებს

მოგვცა თავისი განსაკუთრებული თვისება - უდიდესი სიყვარული, რომელიც პირველ რიგში ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობაში ჩანს. ქართული გალობა არის სიყვარული უფლისადმი, ხოლო ქართული ხალხური სიმღერა – სიყვარული მოყვასისადმი, მუსიკაში აჟღერებული და გადმოცემული.... შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძველი ქართული გალობა არის საეკლესიო ტრადიციის წმინდად დამცველი, შეურყენელი, უძველესი და ამასთან შუა საუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთადერთი მრავალხმიანი, ანალოგის არმქონე პოლიფონია, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს“. [1, გვ239]

მართლაც, XI საუკუნეში, როდესაც არც ერთ მართლმადიდებელ ქვეყანაში არ იყო მრავალხმიანი სასულიერო და საერო მუსიკა, საქართველოში დიდ მოღვაწეს, გელათის მონასტრის პირველ იღუმენსა და სასულიერო აკადემიის პირველ ხელმძღვანელს იოანე პეტრიწს უკვე წერილობითი ცნობები აქვს მოცემული ქართული მრავალხმიანობის - როგორც თეოლოგიურ-ფილოსოფიური მუსიკალური სააზროვნო სისტემის შესახებ. ღირსი მამა იოანე ყოვლადწმინდა სამების დოგმაზე საუბრობს და მის თვალსაჩინოდ განსამარტავად ქართულ მუსიკაში სამი ხმის ერთობის მაგალითი მოჰყავს.

გალობა მკაცრად სასულიერო ხელოვნებაა, ხოლო სიმღერა - საერო. ქართული გალობა-სიმღერა ჩვენი ერის სულიერი საგანძური და სიწმინდეა. ჩვენს წინაპართა სხვა დანატოვართან ერთად, XX-XXI საუკუნის საერო მუსიკაშიც გაჩნდა ინტერესი საეკლესიო მუსიკის მიმართ. ქართველი კომპოზიტორები საკუთარ შემოქმედებაში არა მარტო რელიგიურ თემატიკას ეხებიან, არამედ საეკლესიო საგალობლებსაც. აქ, უმეტესად, დარღვეულია ის კანონიკა, რაც უძველესი გალობის ხელოვნებას ახასიათებს და რასაც აღწერენ ქართველი ჰიმნოგრაფები. კომპოზიტორთა ყურადღება მიჰყრებილია თავისუფალ სტილზე, ზოგჯერ ევროპული სისტემების გავლენის ქვეშაც ექცევა ნაწარმოების ესა თუ ის მონაკვეთი, ან მთლიანად საგალობელი, ზოგჯერ კი საკმაოდ ახლოსაა შუა საუკუნეებში შექმნილ ქართულ „საერო“ საგალობლებთან, როგორცაა „შენ ხარ ვენახი“.

XX-XXI საუკუნეში შექმნილი საგალობლების ერთი ნაწილი შევიდა ეხლახან გამოცემულ კრებულში ბიზანტოლოგიის შესახებ.

კომპოზიტორ მკვა ვირსალამის აზრით, „თუკი ეროვნულობას განვიხილავთ, როგორც არა მხოლოდ შემოქმედების ზედაპირზე განთავსებულ ამა თუ იმ დეტალს, არამედ, როგორც გენეტიკურად კოდირებულ, კოლექტიურ არაცნობიერში არსებულ ნიშანთვისებათა ერთობლიობას (ეს ნიშანთვისებები კი თავის მხრივ, შეიძლება იყოს ძალზე ზოგადიც და კონკრეტულიც - როგორცაა სააზროვნო სისტემა, ტემპერამენტი, განცდის უნარი, არქიტპთა სახეები, მსოფლმხედველობა და ა.შ.), ამ შემთხვევაში შეუძლებელია ნაწარმოების რომელიმე სიღრმისეულ შრეში არ იყოს ჩადებული მისი ავტორის ეროვნულობა. თუმცა არსებობს, რასაკვირველია, ისეთი ქმნილებებიც, რომელთა თავად ჩანაფიქრი, იდეა, უკვე გულისხმობს ეროვნულის ამა თუ იმ დეტალის მონაწილეობას და აქ, როგორც ზედაპირზე, ასევე სიღრმისეულად ვხედავთ ეროვნებას. თუკი ასე მივუდგებით საკითხს, შეუძლებელია ჩემი ნაწარმოებები არ იყოს ქართული, თუნდაც რომელიმე ერთი თვისებით, თუნდაც ფარული სახით.“ (პირადი საუბრიდან)

წარმოგიდგენთ მკვა ვირსალამის საგალობელს „წმიდაო ღმერთო“, სადაც შერწყმულია ქართული და ევროპული საეკლესიო მუსიკის პრინციპები და თანდართულია ავტორისეული სტილის თავისებურებები.

კაცობრიობის ისტორიაში XX საუკუნე ყველაზე გადატვირთულია სამეცნიერო სიახლეებითა და ხელოვნებაში მრავალფეროვანი გამოვლინებებით. ერთის მხრივ,

ხელოვნების დარგების სინკრეტიზაციის შედეგად იქმნება განსხვავებული სპეციფიკის მხატვრული ნიმუშები, მეორეს მხრივ, ამ მოვლენის შედეგად ხიდი იდება უძველესი სამყაროს ხელოვნებასთან, როდესაც სინკრეტული აზროვნების საფუძველზე იქმნებოდა ისეთი ჟანრები, როგორცაა ფსალმუნი, სატურა და სხვა. სწორედ მსგავსი მოვლენების ფონზე XX საუკუნის II ნახევარში და XXI საუკუნეში ხელოვანთა უმეტესობაში შეიმჩნევა ლტოლვა „გამთლიანებული აზროვნებისკენ“ [2, გვ.70].

ცნობილი ქართველი მეცნიერ-კომპოზიტორისა და გამომგონებლის ნოდარ მამისაშვილის აზრით, „გამთლიანებულ აზროვნებაზე გადასვლა თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო პროცესების აღმავლობისათვის აუცილებელი პირობაა“. (სალექციო კურსიდან “მისტიკური ანატომია”)

ის, რომ აზროვნების ცვლა ხდება, ხშირად ისმის სხვადასხვა ხელოვანთა გამონათქვამებში. ერთ-ერთი ასეთი აზრი ეკუთვნის მუსიკალური ავანგარდის ერთ-ერთ ლიდერს, გერმანელ კომპოზიტორს კარლჰაინც შტოკჰაუზენს: „ეპოქა, რომელიც დაიწყო ასეულობით წლის წინ, უფრო სწორედ 2500 წლის წინ და რომელიც ეფუძნება ძველბერძნული ტიპის აზროვნებას, დასრულდა!“ [4, გვ.1].

აზროვნების ცვლადობის მიუხედავად, გენურ კოდში ჩაწერილი ინფორმაცია მუდამ მუშაობს. ამ გზით ცნობიერებას შეუძლია მომავლის ინფორმაციას მიაგნოს და ამასთანავე, პარალელურად, წარსულში მიღებულ ინფორმაციას კიდევ უფრო გაუფრთხილდეს. ასე რომ, როგორც არ უნდა ვეცადოთ წავშალოთ წარსული - ეს შეუძლებელია. შესაბამისად, XX საუკუნის კომპოზიტორ-ავანგარდისტების მხრიდან გასული საუკუნეების მუსიკალური კულტურის უარყოფისა და ყველაფრის ახლიდან დაწყების მცდელობა განუხორციელებელ ამბიციად დარჩა.

მუსიკალური გენეტიკური კოდები

საკითხი, რომელსაც განვიხილავთ, შეეხება მუსიკალურ გენებს და კერძოდ, გავშიფრავთ ფონოგენში არსებულ გენეტიკურ კოდებს. სწორედ ეს კოდები „უნარჩუნებენ“ კომპოზიტორის შემოქმედებას ეროვნულ ელფერს და თვითმყოფადობის მუხტს. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი საკომპოზიციო ტექნიკა მთანთქავდა კომპოზიტორის ინდივიდუალობას.



ნოდარ მამისაშვილის კვლევის მიხედვით არსებობს მუსიკალური გენის სამი ტიპი: *ფონოგენი*, *ინტრაგენი* და *ჰოლოგენი*.

ფონოგენი – ბგერის ობერტონების დაყოფა მუსიკალურ გენეტიკურ კოდებად და მათი დაკავშირება ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა პერიოდებთან. გააქტიურებული კოდი იწერება მუსიკალურ გენში ფონური ფუნქციით.

ცხრილი 1

ინტუიციური
ცოდნის
ხარისხი

პერიოდები	I პერიოდი	II პერიოდი უძველესი სამყარო	III პერიოდი ძველი ანტიკური სამყარო	IV პერიოდი (VI-XIXს.ს.) შუა საუკუნეები, რენესანსი, კლასიციზმი, რომანტიზმი	V პერიოდი		
					(ა) (ახალი სამყარო)	(ბ) (თანამედროვე სამყარო)	(გ) (მომავალი სამყარო)

მუსიკალური აზროვნების დონეების ფორმები	კატაკლი-ზმები, მითოლოგია	მაგია რეინკარნაცია, ბუნების თაყვანისცემა	ინტუიცია, ფილოსოფიური აზრი	ინჟინერია, დროში მოგზაურობა	პლანეტარული აზროვნება	გრძნობითი ველის სისტემის გაგება ვირტუალურ შესაძლებლობათა ფლობა
ობერტონები *						
გამოცდილები თი ცოდნის ხარისხი						

დღიდან მუსიკალური აზროვნების გაჩენისა არსებობს გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში იცვლება, ადამიანი კი ცდილობს ამ მოვლენებს რაღაც ლოგიკური ახსნა მოუძებნოს და მოახდინოს მათი კლასიფიკაცია. ჩვენც, მუსიკალური გენეტიკური კოდების დასადგენად, დაგვჭირდა ერთგვარი კლასიფიკაციის მოფიქრება. საკლასიფიკაციო მოდელის შექმნისას დავეყრდენით ქართველი კომპოზიტორის ნოდარ მამისაშვილის სქემას, სადაც იგი 7 სააზროვნო ასპექტს ყოფს 7 დონედ. ეს დონეები დავუკავშირეთ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა პერიოდს, ხოლო დიაგრამების მეშვეობით, შევეცადეთ გვეჩვენებინა ცოდნის ხარისხის გამოცდილებითი და ინტუიციური მხარე. ამასთანავე დროის დინამიკის საჩვენებლად ჩავურთეთ, პირობითად „დო“ ბგერის ობერტონული რიგი, რის მაგალითზეც გვინდა აღვნიშნოთ, რომ დროის აჩქარების ტენდენცია, თვით ბგერის ინფორმაციულ ველშიც კი არის ჩადებული, რაც გამოხატულია ობერტონთა შორის მანძილის თანდათანობითი შემცირების გზით. ეს მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ყოველი აზრი და მოვლენა შეკავშირებულია ერთმანეთთან, და რომ ინფორმაცია განიცდის მატერიალიზაციას თვით ასეთ მცირედ მოვლენაშიც კი, ანუ ბგერის ობერტონების ინტერვალურ განლაგებაში, რომელიც ვიზუალურად აჩქარების ანალოგიაა.

გადავწყვიტეთ გენეტიკური კოდების საძიებელი არეალი ჰარმონიკებში მოგვეძებნა. ვფიქრობთ, ბგერაში კონსერვირებულია ინფორმაცია გენეტიკური კოდების სახით. ცივილიზაციის ყოველ პერიოდში ობერტონების რიგის განსაზღვრული ნაწილი იწყებდა აქტიურობას, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეული, მსგავსად ინსტრუმენტისა, ეწყობოდა.

ობერტონების კოდებად დაშიფრის შედეგად ძალიან საინტერესო ვიზუალური გამოსახულება მივიღეთ. ბგერათრიგი ჰორიზონტალში აჩქარდება - რაც აისახება ობერტონებს შორის მანძილების თანდათანობითი დამოკლებით. ამ შემთხვევაში ვიღებთ გამოსახულებას, რასაც შეგვიძლია დავარქვათ „აჩქარება დროში“ (ნახაზი 1). ხოლო თუ ბგერათრიგს სივრცეში განვალაგებთ, ის შექმნის სიღმისეულ მრავალმრიან პერპექტივას რასაც შეგვიძლია დავარქვათ „აჩქარება სივრცეში“ (ნახაზი 2)

* ობერტონების რიგის ბოლო ფაზაში, სადაც ქრომატიზმების კოდური ზონაა, მიკროინტერვალის აქცენტირებისთვის შავი ნოტებით აღნიშნული ორი ენჰარმონიული ბგერაა შემოყვანილი, რომლებიც ამ სახით იმიტომ გამოვიყენეთ, რათა ტრადიციულად ცნობილი ობერტონული ბგერათრიგის სიმაღლებრივი თანაფარდობა არ დარღვეულიყო. სინამდვილეში ეს ორი ბგერა მომიჯნავე ბგერების მიმართ ენჰარმონიული ტემპერირებულ წყობაშია. ამ კერძო შემთხვევაში, მათი ფიზიკური მონაცემები მიკროინტერვალურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან და განსხვავებულ სიმაღლეებს გვამღევენ.

ცხრილი 2
(ნახაზი 1)

ბგერა „დო“-ს ობერტონების რიგი (ახქარება დროში)

(ნახაზი 2.)

ბგერა „დო“-ს ობერტონების რიგი (ახქარება სივრცეში)

რთული ტონი და მისი აფეთქება

გენეტიკური კოდები:

<p>გამსუფულებელი ტონი – VII კოდი მიკროტონები – VI კოდი სეკუნდა/სეპტიმა – V კოდი ადამიანი აცნობიერებს ბგერის აკუსტიკურ შესაძლებლობებს. კოდები აქტიურდებიან XIX-XXII ს.ს.</p> <p>ტერცია/სექსტა – IV კოდი ადამიანი აცნობიერებს ვერტიკალში განლაგებულ ბგერებს, რომლებიც დაშლილი ან კომპლექსური სახით ერთ სივრცეში და დროში გადაადგილდებიან. კოდი გააქტიურდა შუა საუკუნეებში, მოიცავს როგორც ევროპულ, ასევე არაევროპულ მუსიკალურ აზროვნებას.</p> <p>კვარტა/კვინტა – III კოდი პერიოდი. ადამიანის ტვინი აცნობიერებს ორი ტონის განლაგებას პარალელურ სივრცეებში და მათ გადაადგილებას პარალელურ დროებში, პოლიფონიური აზროვნების დასაწყისი. ეს კოდი გააქტიურდა ანტიკური სამყაროს წიაღში.</p> <p>ოქტავა/პრიმა – II კოდი ადამიანის ტვინი აცნობიერებს ბგერას და მისი ანარეკლს (ექო), რომლებიც სივრცის სხვადასხვა წერტილებში არიან განლაგებულნი. ეს კოდი გააქტიურდა უძველეს არქაულ ცივილიზაციებში.</p> <p>რთული ტონი – I კოდი ადამიანი აცნობიერებს ბგერას, როგორც ფიზიკურ მოვლენას.</p>	<p>V პერიოდი</p> <p>IV პერიოდი</p> <p>III პერიოდი</p> <p>II პერიოდი</p> <p>I პერიოდი</p>
---	--

ინტრაგენი (მეხსიერება, ინტუიცია, განწყობა) წარმოებს ფონოგენიდან, რომელსაც თან ერთვის ევფონიის მოვლენა. ევფონია, ჩვენი აზრით, არის სამყაროს საერთო ჰარმონიიდან ნებისმიერი სმენადი მატერიის ადამიანის მიერ საკუთარი სხეულით (გარედან მიღებული მუსიკალური ინფორმაციისთვის აკუსტიკური სარეზონატორო გარემო) შერჩეული, მისთვის სასურველი კეთილხმოვანება და ცნობიერებაში გარდაქმნის შედეგად - ინდივიდუალური აღქმა. სწორედ ეს გენი ააქტიურებს ინდივიდუალურ საწყისს. ერთიდაიგივე ჟღერადობას ყველა ადამიანი აღიქვამს თავისებურად, თუმცა განსხვავება იმდენად მიკროსკოპიულია, რომ ჟღერადობის შინაარსი და არსი არ იცვლება. სმენადობისას ხმოვანების ნიუანსების ინდივიდუალური შერჩევითობა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა გარემოებაზე, ეთნიკურ ტიპზე, ტემპერამენტზე, სასმენი აპარატის ანატომიაზე, ინფორმაციული ტალღების მიღებისთვის ტვინის აკუსტიკურ გარემოზე, ფიზიკური ჰარმონიის პროპორციებზე, ბიორეზონანსზე, სისხლის მიმოქცევის დინამიკაზე, ენერჯის პოტენციალზე, გეოგრაფიულ განსაკუთრებულ გარემოზე, გენეტიკაზე და ა.შ.

ევფონიას დიდი გავლენა აქვს ტრადიციული მუსიკის გამოვლინების ფორმირებაზე თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში. სწორედ ამ მიზეზით, ეროვნული ნიუანსები ამა თუ იმ სახით ყოველთვის ჩნდება თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებში - მიუხედავად იმისა, ისინი განათლებას იღებენ ევროპული მუსიკალური სისტემით თუ რაიმე ევროპული პროფესიული მუსიკის წიაღში შექმნილ საკომპოზიციო ტექნიკაში ქმნიან ნაწარმოებებს.

გთავაზობთ მიქსოტექნიკაში შექმნილ ნოდარ მამისაშვილის ნაწარმოებს „სუპერ პასტორალი“ ინსტრუმენტული თეატრისთვის, რომელიც დაიწერა ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „მზეთამხესა“ და საქსაფონების კვარტეტისთვის. ნაწარმოებში მოდალურ და ატონალურ ტექნიკაში დაწერილი ულამაზესი ჰარმონიები შერწყმულია სონორულ-აკუსტიკურ ეფექტებთან, იგრძნობა კომპოზიტორის «სამფაზიანი სისტემის» დომინანტურობა და ყოველივე ამას ფონად გასდევს ქართული ინტრაგენიდან წამოსული იმპულსი.

ნოდარ მამისაშვილის განმარტებით, **ჰოლოგენი** არის ვირტუალურ შესაძლებლობათა ფაზობრიობა, სადაც სივრცით განზომილებათა მონაცვლეობა ქმნის გამთლიანებული დროის ეფექტს. ჰოლოგენი ფსიქოდროში გადაადგილების საშუალებას და გენში დაშიფრული საერთო ინფორმაციის წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა საკითხის გაცნობიერება ხდება სუბიექტის რეალურ დროში და შეიმეცნება იმ სემანტიკით, რაც მისი ეპოქისთვისაა შესაფერისი. ესენია გენეტიკური გეიზერები, რომელთა ამოფრქვევა ხდება ქვეცნობიერში დაგროვილი ინტელექტუალური ენერჯის მეშვეობით, რომელთა დიდი წნევით ამოხეთქვისას ენერჯის მოყვება რომელიმე ფსიქოდროსთვის შესაფერისი ინფორმაციული წყარო.

გენი დნმ-ის მაკრომოლეკულის ნაწილია, ინგლ. მეცნიერმა ფ. კრიკმა და ამერ. ჯ. უოტრონმა დაადგინეს, რომ დნმ შედგება ორი კომპლემენტარული ჯაჭვისაგან, რომელთა აზოტოვანი ფუძეები ერთმანეთს წყალბადური ბმით უკავშირდებიან. ფუძეთა დაწყვილების ამ პრინციპით აიხსნება ზუსტი გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა (ტრანსკრიფცია), ერთი მხრივ, მშობლებიდან შთამომავლობაზე (რეპლიკაცია), და მეორეს მხრივ, დნმ-დან ცილებზე, რაც აგრეთვე ვიბრაციის თავისებურ ტიპოლოგიას წარმოადგენს.

შესაძლოა ასეთი გადაცემის მეტაფორული სახე მოვძებნოთ მუსიკალურ გენეტიკაშიც, გავაიგივოთ წყალბადურ ბმასთან ყოველი გამეორება რთული ტონისა,

რომლის ობერტონებსა და უნტერტონებსაც ვშიფრავთ, მათ შორის განთავსებული ბგერები კი კომპლემენტარულ ჯაჭვებად აღვიქვათ, ტრანსკრიფცია (მშობლებიდან შთამომავლობაზე გადასული ინფორმაცია) მხატვრულ ნაწარმოებებში ინტრაგენის მემკვიდრით გამოვლინდება (ასე ვთქვათ, ზედა შრეებში), რეპლიკაცია კი მეტად შეფარულია და შეზრდილი და სასიგნალო სახით ვლინდება (ფსიქო-ინტელექტუალურ ასპექტში, ქვედა შრეებში).

მუსიკალური აზროვნების ტიპის ფორმაციას ახდენს ე. წ. კოსმო, გეო, ასტრო, ბიო, ფიზიო, ფსიქო და სხვა გარემო. ყოველი მათგანი საწყისია და შეიცავს სხვა მათგანს ანუ შექცევადია. მათი მონაცემები გენეტიკურ დონეზე იწერება ცოცხალ უჯრედში ინფორმაციის სახით, რაც განიცდის მოდიფიკაციას ქიმიურ ნაერთთა კომბინაციათა ცვალებადობის, დროის დინამიკის, სივრცის სიმკვრივისა და მრავალ სხვა მოვლენათა ზემოქმედების ხარჯზე. ეს პროცესები აზროვნების სფეროში გამოვლინდება ნებისმიერი საკითხის მიმართ დამოკიდებულების ნაირსახეობით. საბოლოოდ, აზროვნების ესა თუ ის ტიპი აისახება სოციალურ და ფილოსოფიურ საწყისებზე და ამ მოვლენათა ერთობლიობას შეგვიძლია დავარქვათ აზროვნების გენეზისი.

ამგვარად მუსიკალურ აზროვნებას სამ ტიპად ვყოფთ, რომლებიც შეიცავენ მათშორის გადებულ ხიდებს. პირობითი პერიოდიზაცია დავუქვემდებარეთ ჯვრის პროპორციებს და დავაკავშირეთ „ძირითად სააზროვნო ასპექტებთან“ (გამოვიყენეთ ნ. მამისაშვილის კლასიფიკაცია „სააზროვნო ასპექტის 7 დონესთან“ დაკავშირებით):

საშუალოდ 40 საუკუნე - 10 საუკუნე - 13 საუკუნენახევარი - 2 საუკუნენახევარი - 40 საუკუნე საშუალოდ

შესაძლოა, ცივილიზებული კაცობრიობის სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობის გამოსაანგარიშებლად მამტაბური თანაფარდობა მოვახდინოთ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობასთან.

სტანდარტულ შემთხვევაში ცივილიზებული კაცობრიობის სიცოცხლისუნარიანობა საშუალოდ იქნება 82-105 საუკუნე.

არ დაგვავიწყდეს რომ დინამიკა მატულობს, აჩქარება არა მარტო დროის ცვლაში ვლინდება, არამედ ბიო და ინტელექტუალური განვითარების ტემპებში. ასე რომ, ვვარაუდობ, სხვადასხვა უნართა გამოვლენისა და ათვისების მაქსიმუმის შესაძლებლობა მაინც არსებობს.

აზროვნების ტიპები	პერიოდები	სააზროვნო ძირითადი ასპექტები
მისტიურ- ინტუიტიური	დასაბამიდან - ჩვ.წ. აღ.-მდე VI საუკუნემდე	კატაკლიზმები, მითოლოგია; მაგია, რეინკარნაცია, ბუნების თაყვანისცემა;
ხიდი	ჩვ.წ. აღ.-მდე VI საუკუნედან ჩვ.წ. აღ.-ით VI საუკუნემდე;	ინტუიცია, ფილოსოფიური აზრი;
ლოგიკურ- ფუნქციონალური (დოგმატური)	VI საუკუნედან - XIX საუკუნის II ნახევრამდე;	ინჟინერია, დროში მოგზაურობა;
ხიდი	XIX საუკუნის II ნახევრიდან <u>სავარაუდოდ</u> XXII საუკუნემდე; (ოქროს კვეთის პროპორციული თანაფარდობის მიხედვით)	პლანეტარული აზროვნება;
ვირტუალურ- ეგზისტენციალური	XXII საუკუნიდან - ;	გრძნობითი ველის სისტემის გაგება; ვირტუალურ შესაძლებლობათა ფლობა;

ქართული მუსიკალური აზროვნება სათავეს იმ პერიოდიდან იღებს, როდესაც აზროვნების I ტიპი (მისტიური) იყო გაბატონებული. მაშინ ძირითად სააზროვნო ასპექტს წარმოადგენს მაგია, რეინკარნაცია და ბუნების თაყვანისცემა. ამ დროს ხდება მუსიკალური ფონოგენის კოდის ჩასახვაც ქართველ ერში, რომელიც კოლექტიურ ინტრაგენს გამოიმუშავებს. ეს გენეტიკური საფუძვლები წარმოშობენ ინფორმაციის გადაცემის ჯაჭვს. მოგეხსენებათ, ქართულ მუსიკალურ სისტემებში ვლინდება პოლიფონიური აზროვნების უნიკალური ფორმა, კერძოდ, შერწყმული სამხმიანობის ფენომენი, რომელსაც იოანე პეტრიწი «*შეყოვლებას*» უწოდებს. ამ მხრივ დიოფიზიტობაც კი, შერწყმა „ორი“ საწყისისა, ორგანულად აისახა საეკლესიო მუსიკაშიც. ფონოგენის სივრცული გადანაწილებისას წარმოქმნილ ნახაზში ნათლად ჩანს ბგერათა სხვადასხვა სივრცეში მდებარეობა და მათი ტოპოფონიკური დამოკიდებულება. აქ მიკროტონურ-აკუსტიკურ გარემოში დგება ბგერათა შორის კვარტისა და კვინტის ინტერვალურ დამოკიდებულებებში შენარჩუნებული წონასწორობა და ობერტონული ბალანსი, სადაც რთული ტონის ჰარმონიკებში ასახული დრო და სივრცე ერთდროულად მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით. უნდა ავლნიშნოთ, რომ ეს ერთადერთი კოდია, რომელიც სამგანზომილებიან სივრცეში მოძრაობაშია მოყვანილი. თუ ამ ფონოგენზე ზედნაშენი ინტრაგენი ბგერათა აღქმის სწორუფლებიანობის ინფორმაციას ჩაწერს უჯრედში, მაშინ ქართულ მუსიკალურ აზროვნებაში წარმოიშვება მრავალგანზომილებიანობის შეგრძნება. ის აღიქმება ზედა მეოთხე, უკვე ვირტუალური წერტილიდან, რომლის მეშვეობითაც ხდება შერწყმულის „შეყოვლების“ დანახვა. ეს მოვლენა ჩადებულია ქართულ ჰარმონიაში, ამიტომაც აკორდში შემავალ ბგერათა შორის ინტერვალთა ზევიდან იკითხება, ხოლო ბგერათა მიმართ ავთენტურობა და პლაგალურობა ერთუფლებიანია - ანუ კვარტასაც და კვინტასაც „საკიდის“ მიმართ ერთიდაიგივე დამაბულობა აქვს.

გაჩნდება კითხვა ფუნქციონალურ აზროვნებაში არსებული კვარტის და კვინტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თუ რით განსხვავდება ევროპული კვარტა-კვინტური დამოკიდებულებები ქართულისგან. საქმე იმაშია, რომ ფუნქციონალურ მუსიკაში კვარტა-კვინტური დამოკიდებულებები ბგერათა ურთიერთობის დონეზე წყდება. ეს ინტერვალური დამოკიდებულება ობერტონულ (დო-სოლ) და უნტერტონულ (დო-ფა) რიგში იძებნება და განლაგდება ერთ სივრცულ სიბრტყეზე (მნიშვნელობა არ აქვს ვერტიკალში თუ ჰორიზონტალში).

ქართული ჰარმონიის შემთხვევაში კი, პირველ ეტაპზე, არა ბგერათა შეთანხმებასთან გვაქვს საქმე, არამედ ხმათა ინტერვალურ შეწყობასთან სხვადასხვა სივრცულ დონეზე. სწორედ ამიტომ ქართული პოლიფონიური აზროვნება „შეყოვლებულია“ და არა წარმოებული, როგორც ევროპულ პროფესიულ მუსიკაში.

ზემოთ ახსნილი უჯრედოვან დონეზე ჩაწერილი ეს ინფორმაცია გადანაწილდება მუსიკალური *ქვეცნობიერის შრეებში*, რაც შემდგომ სხვადასხვა სახით გამოვლინდება პროფესიულ მუსიკაში (ეს ეხება საეკლესიო მუსიკას, კლასიკურ თუ თანამედროვე მუსიკასაც). სწორედ ეს შრეები გამოავლენენ იმ კატეგორიებს, თუ რა სახით ვლინდება ეროვნული საწყისი პროფესიულ მუსიკაში.

გთავაზობთ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, სადაც საერთო ჟღერადობაში ამა თუ იმ სახით იკითხება ქართული გენი.

მუსიკალური ქვეცნობიერის შრეების ყველაზე ღრმა ფენაში ჯდება ფონოგენი:

ნათელა სვანიძის „წრე“ ამ ნაწარმოებში ძნელია «დაიჭირო» კონკრეტულად ქართული ეროვნული ნიუანსები, თუმცა მთლიანობაში ისმის და იგრძნობა ეროვნული

მუხტი. ეს მიკროსკოპული მოვლენა ნაწარმოების ფორმის შემქმნელ ნაწილებს შორის დინამიკის შინაგან პულსაციაში იკვეთება.

მუსიკალური ქვეცნობიერის შრეების უფრო ზედა ფენაში განლაგდება ინტრაგენის მიერ გააქტიურებული ინფორმაცია, რაც წარმოშობს პოლისტილისტიკის სხვადასხვა ფორმებს:

1. მუსიკალური სისტემის გამოყენება (სტილიზაცია);

კვა ჭაბაშვილის „კოპალა“ კოპალა ნეოფოლკის მიმდინარეობის ერთ-ერთი ნიმუშია, სადაც ერთდროულად შერწყმლია რამდენიმე მუსიკალური სისტემა და გამოყენებულია ორი საკომპოზიციო ტექნიკა - კომპოზიციის შუა ნაწილი აგებულია „ქართული პოლიფონიური“ წესით, ხოლო კიდურა ნაწილები ჰეტეროფონიული მრავალხმიანობით.

2. საკომპოზიციო ტექნოლოგიური პროცესის რეპროდუქცია;

ზურაბ ნადარეიშვილის „კვარტეტი“, სადაც ავტორიუსეული სტილის მუსიკალური მასალის შეზავება ხდება ქართულ ფოლკლორულ მუსიკასთან.

3. ციტატური ან კოლაჟური ფორმები.

კვა ჭაბაშვილის „ფრესკები“, სადაც ავტორიუსეული სტილის მუსიკალურ მასალას კონტრასტულად ერწყმის ციტატები ქართული ფოლკლორული მუსიკიდან.

კვლევის პროცესში, ხელოვანთა ნამუშევრებში, შესაძლოა, სხვა სახითაც გამოვლინდეს ინტრაგენის ინფორმაციული წყარო. მუსიკალური ქვეცნობიერის შრეთა გააქტიურება ხშირად ერთობლივია და შერწყმული, იშვიათად შეიძლება შევხვდეთ მხოლოდ ერთ მათგანს.

ზემოთ ჩამოთვლილი ინტრაგენის ინფორმაციული ველისთვის დამახასიათებელი სამი გამოვლინება, შესაძლოა, არაგენეტიკური ხაზითაც იქნას მიღწეული გარკვეული მუსიკალური მეთოდის გამომუშავებით. თუმცა ის ბუნებრივი ენერგეტიკული დინამიურობა, რაც ინფორმაციას ინტრაგენის ან ჰოლოგენის გეიზერების აქტიურობისას მოჰყვება, დაკარგული ექნება.

ჰოლოგენის გეიზერების მეშვეობით, ქართული მუსიკალური გენი, შესაძლოა, ნებისმიერ მუსიკალურ კულტურაშიც გამოვლინდეს. ამის ნათელი მაგალითია, იგორ სტრავინსკის სიმფონია „ჩასაბერებისათვის“:

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

ფონოგენი - სტატიურია დამატებებით

ინტრაგენი - ცვალებადი, კომბინირებული და განახლებადია.

ჰოლოგენი - დინამიური, ტოპოფონიკური, გადაადგილებადი და არასტაბილური.

აკუსტიკურ გარემოში, მხოლოდ მიკრო აკუსტიკის დონეზე, სადაც ტალღების გავრცელების ინტენსივობა ანუ ენერგეტიკული მახასიათებლები უჯრედოვან დონეზე მუშაობს, ბგერის გავრცელებისას ინფორმაციის ტალღას გადააქვს წყაროს მიერ გამოსხივებული ენერგია სივრცეში, სადაც ის ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ ყველა ეპოქაში სივრცის სიმკვრივე და დროის სიხშირე სხვადასხვა იყო. ეს მონაცემები შესაძლოა მინიმალურ სხვაობებს გვამლევდნენ. თუმცა დროთა ჭიდილში, გენის ჩამოყალიბებისა და მასზე ინფორმაციის ჩაწერისას, მიკრო სამყაროს პარამეტრებით საკმაოდ დიდ სხვაობებში მოდის ერთმანეთთან, ანუ ეს სიახლე უკვე შიდა მიკრობიოლოგიურ აკუსტიკურ გარემოში მაკრო ცვლილებებად აღიქმება. ხოლო დეტალური მუსიკალური ინფორმაცია, რომელიც ასევე ტალღის მეშვეობით ვრცელდება და მას მილიონობით კომბინაციის შექმნა შეუძლია უჯრედის აკუსტიკურ

გარემოში ინტრაგენის სპეციალური მაჩვენებლებით, კომპოზიტორთა ცნობიერში უმტკივნეულოდ გამოიჟონება და ამა თუ იმ ეპოქის მუსიკაში საკუთარ ეროვნულ დაღს დაასვამს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "ლოცვანი", გამომცემლობა "გორგასალი", რუსთავი 2007
2. კალანდაძე ი., "ნოოსფერო – მომავლის მეცნიერების სათავეებთან", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი - 2007
3. ქომეთიანი პ. "ზოგადი ბიოქიმიის კურსი" თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971
4. ჟვანია ნ., "კარლჰაინ შტოკჰაუზენის საფორტეპიანო შემოქმედება და პიანისტის საშემსრულებლო შესაძლებლობების სპექტრის გაფართოების პრობლემა ახალ მუსიკაში", სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2006

Article received: 2009-12-14